



— ვიზ, რა მშვენიერია სოფელი, ანდამატივით გიზიდავს თვისკენს

(თბ. მგ-16 გვ.)



ბესარიონს პასუხისმგებელი თანამდებობა ეკავა.

ის სრული ნდობით იყო აღჭურვილი პარტიისა და ხელისუფლების მიერ. ბესარიონ პარტიის ძველი წევრი იყო.

თქვენ ეს ყოველივე გიკვირთ და შეკითხვებით:

— განა ეს ის ბესარიონია, რომელიც 905 წლის რევოლუციაში იღებდა მონაწილეობას?

დაახ ის ბესარიონია, რომელიც დაჭრილიც იყო და გადასახლებული მაშინ...

მართალია, ჩვენი პარტიის ერთი ბელადთაგანი თავის მოგონებებში გაცხრით იხსენებს მას, პირიქით, ერთ წერილში იმასაც კი ამბობს, რომ ბესარიონ გადამწყვეტ მომენტებში განზე დგებოდა და აქტივობას არ იჩენდა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მის წარსულ რევოლუციონერობას არავინ უარყოფს. ბესარიონზე არა ნაკლები, თუ მეტი არა, რევოლუციონერი წარსული აქვს მის ყოფილ ცოლს ანს. თეოს, რომელსაც პარტიაში მეტ სახელად „მანხალას“ ეძახოდნენ, ზოგიერთები იმასაც კი ამბობენ, თითქოს ბესარიონის რევოლუციონერად გახდომა თეოს მეოხებით ყოფილიყო.

როცა ბესარიონ ციმბირში გადასახლეს, თეომ ფიცი მისცა მისთვის და საერთო საქმისთვის ერთგული ამხანაგი დარჩენილიყო. და ეს ფიცი მან პირნათლად შეასრულა. რამდენიმე წლის განმავლობაში, ამხანაგი თეო „წელზე ფენს იღამდა“, ბავშვებს ზრდიდა და გადასახლებულ მეგობარსაც მატერიალურ დახმარებას უწევდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ბესო საქართველოში დააბრუნა.

1921 წლის თებერვლის რევოლუციამ კი მას ჩააბარა პასუხსაგები საქმე და მიანდო სოციალისტურ აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღება.

ბესო და თეო სხვადასხვა დაწესებულებებში მუშაობდნენ. ბესო სამეურნეო დაწესებულებაში, თეო კი პარტიის ხაზით. თეო ერთ-ერთ თვალსაჩინო მუშაკათ ითვლებოდა მშრომელ ქალთა ორგანიზაციის საქმეში, რის გამო ხშირად უხდებოდა პროვინციაში მგზავრობა.

— რას გავხარ, თეო? ვერ ხედავ, როგორ გაძვალტყავდი? შენ ალბად ექიმობა გჭირდება. — ეუბნებოდნენ მას, მაგრამ თეო ყურადღებასაც არ აქცევდა მათ და განაგრძობდა თავდადებულ მუშაობას.

ბესო ხშირად გადაყვადათ ერთი-დან მეორე დაწესებულებაში. ეს გარემოება გამოწვეული იყო მით, რომ

არც ერთი საქმი, რომელსაც მას აბარებდნენ, არ ხეირობდა, რის მიზეზათ ბესო ყოველთვის ობიექტიურ პირობებს ასახელებდა.

პარტიის წმენდამ „მზის შუქი“ მოჰფინა ბესოს პიროვნებას და გამოამჟღავნა მისი შინაგანი ბუნება!

აღმოჩნდა:

ბესო — პროტექციონასტი

ბესო — ბიუროკრატი,

ბესო — მემარჯვენე,

ბესო — „ბედნიერების“ მაძიებელი.

გამწმენდ კომისიაში საქმაო მასალები იყო დაგროვებული იმის შესახებ, რომ ბესოს კომუნისტობის არაფერი ეცხო, რომ ბესო წარმოადგენდა გადაგვარების იშვიათ ეგზემპლარს. წმენდის დროს წაკითხულ იქნა მისი ორი წერილი.

პირველ წერილში ბესო „გულანგილობით“ სთხოვდა თეოს „მეგობ-

რულად“ დაზოგებულნიყვენიერებას მეთს.

„დაივიწყე წარსული“.

— სწორად ის, — მე შევიყვარე „მზის უნახავი“ ქალი, რომლითაც მოხიბლოლი ვარო...

მეორე წერილში ბესო „ციურ ანგელოზათ“ სახავდა ვინმე მარგალიტას.

— შენ ხარ ჩემი ბედნიერება, — სწორად ის მას და წერილს ასე ათავებდა:


— „ჩემო ღმერთავ, შენი ვარ და მუდამ ვიქნები შენი მონა-მორჩილი! კომისიის თავმჯდომარემ ასე მიმართა ბესოს:

— თქვენისთანა „ბედნიერები“ ჩვენს პარტიას არა ჰყავს და არც უნდა ჰყავდეს.

ბესო პარტიის გარეშე იქნა დატოვებული.

ყუმბარა.

ბ ა ვ შ მ ა გ ა ს ც ა



— მამილო, ვილაც ძია მოდის აქეთ!
— სხს... ეს არ სთქვა. ის ძია კი არა, შენი მამაა, — მე კი შენი ძია ვარ. მაშ კრინტი... ენა ჩაივდე მუცელში... რას ტანტალებ! (ტუქსავს).

კულტმუშაობა

(ჭუთაისი) —

— დათიკოჯან, თუ გიყვარდე იმისთანა კინოი სუ-
რათი ამომირჩიე, რომელშიაც პატი და ბატონი მო-
ნაწილებდნენ! — სიხოვდნენ ქუთაისის მუშათა კლუბის
მესვეურნი სიბკინრეწვის განყოფილების გამგეს.

კანტორაში ერთი ვაი-უშველებელი იყო გამარ-
თული.

კი, მაგრამ შე უღმერთო, შენ დღეს კლუბში ლექცია
გაქვს დანიშნული და შე რეიზა ნუღაღები, შე კაცო? —
ნაღვლიანი კილოთი მიმართა ერთმა მეორეს.

— ხომ არ შეიშალე, კაცო შენ! მოგცლია ერთი. რის
ლექცია. რას დისპუტი. ხომ იცი რაშია საქმე? — და ხე-
ლის სალოკ თითზე იატაკის საწმენდ ჩოთქივით გაუსვა
ცერა.

— გუშინ საღამო-წარმოდგენა როგორც იყო ჩავა-
ტარე! — მამლაყინწასავით გამოიჭიმა წინ ერთ-ერთი
მათგანი.

— დიდებული საღამო იყო მამიჩემის სულს გეფე-
ცები. ისეც ავიშენდა ოჯახი. ეს ტრადიციები მაინც
სად გამონახე, შე კაცო. „შეშინებული ანთიმოზი“,
„სოსის ღელე“... დაგიშვენდა ცხვირი, მერე კიდევ...

— კაი, ერთი, ნუ აუშვი გრამაფონი. აბა შენა
კლუბის საღამო სჯობდა შენმა თავის ვახეთქამ: „სული-
კოს საფლავი“, „კოცნა-კოცნა“ და ათასი ზღაში.

— კულტმუშაობაში ქე ჩამეთვლება და მეტა რა
მენაღვლება!

— ჰო-და, თუ ძმა ხარ, შენც სუ და მეც სუ!
შაკო.



წერილი ბახმაროდან

სასადილოს მივამუტრე, რაგი იყო გრძელი,
აქაც თურმე საჭიროა ნაცნობობა ძველი;
ესე იგი, პროტექციას იქაც აქვს ადგილი,
მის გარეშე ველარ სჭამო აქ დროზე სადილი.

—
აქ დღეს კერძო ვაქრუკანებს ჩაუვარდით ხელში,
სამ-სამ მანეთს ღებულობენ ერთ გირვანქა ყველში.

—
აქ ექიმიც ავადმყოფებს აცლის ხოლმე სიქას,
მასთან მისულს გასამინჯათ მთლად დაუცლას ქისას

—
სისუფთავეც გახდა ჩვენთვის აქ დღეს უცხო ხილი,
ქუჩებს ერთხელ ვერა ნახავ, რომ იყვეს დაგვილი.
ლანდელი.

— უი, ქა, როგორ წახდა დროება! წინედ მზეთუნა ხავები იზრდებოდნენ, — ეხლა კი—მზეზე იწვებიან —
გავშავდელი!



4 გურჯაანის გუფაშუა

- ცივი, რა გაქვს?
- ჩაი...
- როგორ! ჩაი და ცივი?!
- რა გიკვირს თუ ნახაშირი არ არის
ჩაიც ცივი იქნება!
- : —
- გამიხსენი ცივი ბორჯომი.
- არ გახლავით...
- მაშ ცივი რა გაქვს?
- ცივ ტყემალში და ნიორ-
წყალში ამოვლებული კარგად შებ-
რაწული ვარია.
- : —
- თბილი რძე გაქვთ?
- არა.
- ჩაი.
- არც ჩაი.
- მაშ რა გაქვთ?
- წითელი ღვინო.
- შე კაცო, პაპანაქება სიცხეში
და თბილი ღვინო.



ზოლტი

წინედ და მხლა

არ მსურს ტელასი, ვიჯდე ბნელაში!

შე ისევ მიწვევს წერა ტელასზე, რადგან ტელასი
ბიუროკრატთა ბუდეა თურმე მეტად ყველასი!
არა მსურს ვიყვე ლიტონ სიტყვით და არ ფაქტებით,
თუმც ყველას მოთვლა რომ ინდოვით, თქვენ რას
გახდებით!

ვიღებ ერთ მათგანს სანიმუშოდ, სამაგალითოდ,
ათასში ერთი რომ ამხილოთ, რა უშავს ნითომ?
თქვენ ის მითხარით, თუ ათასი ერთად ამხილეთ
და ამგვარ აქტით მთელი დარგი თქვენ გააწვილეთ,
თორემ ერთ ფაქტზე აშენება რამე ბრალდების
იმ ქვეყნად თაფლად და იმ ქვეყნად სანთლად
დადნობის!

ეს ყველამ იცის, რომ განაგებს ელშუქს ტელასი,
თუმც ზოგჯერ ამ შუქს შენ ირჩევ, რომ იჯდე
ბნელაში,

ოღონდ გარდამეტ შეწუხებას, თრევას და წოწვას
ასცდე რამეფრად, დიახ, ირჩევ ზოგ ბნელში ცოცვას,
და ემიჯნები შუქს, სინათლეს, კაცს ტელასიდან,
თვეში რომ ერთხელ მოვადგება კარს ბელასინად,
გამოსწერს თანხას გადასახდელს ამა თვის შუქში;
შენ კი რა იცი, თუ რა ჭაჯი უზის მას შუბლში,
და, მაგალითად, რად არ ჩასწერს წარსულ თვის
ცნობას?!

შენ ხომ მიეცი შუქის ფასი? ვალდებულთ გრძნობას
მიპყე ფებ და ფებ, არ გამოწყდი კაცი მასაში
და შეიტანე „დოკაპიკად“ ფული კასაში!
ახლა მეორე თვის ხვედრ ფოლოთ, ვით ვალდებულნი,
იწვეთ იმავე გზით და ალალი მიგიხტისთ ფული,
რადგან თქვენ სცდილობთ, რომ პირნათლად აქ
გამოხვიდეთ:

ისინი სწერდენ ბარათში ფულს, თქვენ კი იხდიდეთ!..
და აი, შესდგა სალაროს წინ თქვენი პერსონა!
თქვენც თუ უკმეხ ხმას აქ გკადრებდენ, ეს ვის ეგონა?

პირნათლად ვალის გასტუმრება, სჩანს, რომ გწადია,
და რომ ამ მიზნით აქ მოხვედი, ესეც ცხადია!
მხოლოდ მოლარე ყველა ამას დაგიდევს რათა,
როცა ბარათში იმ თვის ცნობა თქვენ არ გაქვთ მზათა?
თქვენ გადინადეთ იმ თვის ფული, ისუსტეთ ჭკუით,
მაგრამ აქ ცნობა რომ არა გაქვთ, „ზნაჩიტ: თქვენ
სტყუით!

უნდა მიმართოთ თქვენ ცნობათა აქვე მაგიდას
და ის ცნობარში, ჯერ თუ არ ხართ, ახლა ჩაგიტანსთ.
მანამ კი ფულის მე მიღების არ მაქვს უფლება!
აი, წესები თქვენ ტელასის ნუხლებ-მუხლებათ!..
— მიიღეთ ფული!

— „ვერ მივიღებ!“
მიიღეთ!

— „ვერა“!

ცნობა ბარათში უნდა იყვეს, ეს თქვენაც გჯერა!
რომ გადინადეთ იმ თვის ფული, თქვენ ესეც იცით!
მაგრამ ამ წუთში სდგებართ აქ და ორ ციციბლში
იწვით:

არ მისცემ ფულს და, არ აიღებს იმას კასირი,
შუქს მიგიჭრიან, თავს დაგესხმის ღამე თახსირი!
არა და... ცნობა... ოხ, ეს ცნობა!.. დარდი აქიდან...
მიღი ერთა და შენ ცნობათა სინჯე მაგიდა!
ხომ დაგისივდა იქ მუხლები ცნობის ლოდინში?
სალამოს ნიხვალ შინ და უნდა ჩაწვე ლოვანში:
რათ გინდა შუქი, ან სინათლე, ანუ ქალები?
თავს დაგადგება, ძილთან, ღამის რკინის წაღები!
ჩადგება შხამი მთელს ძარღვებში, წაიღებს გულსა!..
ახია თქვენზე! რათ იხდათ ვალს? რად აძლევთ ფულსა,
ვისაც დაპზარდა შენს ბარათში ციფრის ჩასვეტვა?!
ოხ, ეს ტელასი ამ ტანჯვისთვის დაარსდა. ნეტა?!

პაპირა.



7-112

პირვ. ლორი: — ვის-ღას ველოდებით, ჩავიდეთ, ვიბანაოთ!

მეორე ლორი: — აწი-და მანდ რომ არ ამოვისვაროთ ტალახში, წავიდეთ საბურთალოზე და იქ დავგრი-
ლდეთ სადმე ნაგუბარში.

დაუკატბიშეხელი სტუმარი

ხინკალტრესტის დირექტორი გიორგი ტყლაპაძე მეტის - მეტად მსუქანი ვაჟკაცი იყო, ქუჩაში ძლივს მიგორავდა ისე აყო ჩარგვალეული მისი მუცლის მოყვანილობა, ხომ ათ ფუთიან გოდორს მოგაგონებდათ. სიცხეს სრულებით ვერ იტანდა, დაიწყებოდა თუ არა მისა, ოფლი ნიაღვარივით დაუწყებდა დენას და ამ დროს რომ მისთვის შეგებნდათ, გულ-დაგვებულობდათ, ისეთი საცოდავი სანახავი იყო. ამიტომ ყოველ წელეწაღს მისის გასულს ის აიკრეფდა ზარვს და თავის ცოლშვილით მადიოდა ან ზღვის პირად, ან კისლოვოდსკში, ან სადმე მაღალ ადგილზე და იქ ატარებდა დროს. თვითონაც კმაყოფილი იყო და მისი ოჯახიც.

წელს ისეთი სიცხე დაიჭირა, რომ ასეთი სიცხე ტფილისს არ ახსოვს. წესით გიორგი ეხლა ტფილისიდან გასული უნდა ყოფილიყო, მაგრამ, შოი საკვირველებავ, მან გადასწყვეტა ამ საშინელი ზაფხულის ტფილისში გატარება.

— რამე აიძულა ასეთი საშინელი გადაწყვეტილება მიეღო გიორგის? — იკითხავს მკითხველი.
ამაზე ქვემოლ მოგახსენებთ.

— წამოდი, შენი ქირიმე, ჩემო გიორგი, უშენოდ იქ ვერ მოვისვენებთ, როგორ უნდა გასძლო ამ საშინელ სიცხეში. წამოდი, — ემუღარებოდა ცოლი.

— რა ვქნა, ჩემო ნინა, ვიცი რომ გამიჭირდება, მაგრამ საქმეები ნებას არ ნაძლევს. ხომ აცი ხტოვლიან გემას ოთხწლედში უნდა შესრულება. ამიტომ, თუ ჩვენ აგარაკზე ვიარეთ და მკერდით არ მივაწეკით საქმეს, არაფერი გამოვა. წადით თქვენ, მე ვეცდები, რომ ორი კვირით ნაინც წამოვიდე, ესეც მეყოფა.

თვალცრემლიანი ცოლი და შვილი ჩასვა გიორგიმ მატარებელში და ხვევნა - კოცნით გაისტუმრა.

გიორგი შეეყარებოდა იყო. მას უყვარდა ახალგაზრდა, ლამაზი სოფო, დნებოდა მისი საყვარულით, დღე და ღამ მასზე ოცნებობდა.

აგარაკზე ნინა სულ გიორგიზე ფიქრობდა. იმდენი იფიქრა, რომ ბოლოს ეჭვი დაებადა და მოსვენებას არ აძლევდა. ნინა თითქმის დარწმუნდა, რომ გიორგი ღალატობდა.

დადგა სანეტარო დრო. გიორგიმ სოფოსთან სიაროლს მოუხშირა. თითქმის მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ.

ერთ მშვენიერ საღამოს გიორგიმ სოფო სახლში მიიბატიყა. სოფო უარს როგორ ეტყოდა, გიორგი ხომ მისი უფროსი აყო სამსახურში და მთელი მისი ბედისმართი მასზე ეკიდა. გიორგიმ მშვენიერი ვახშამი მოამზადა, დანიშნულ დროზე სოფო მოვიდა.

კარები ჩაკეტეს, მოუსხდნენ სუფორს და ტკბილი მასლაათი გააბუს. გიორგი არხეინად იყო, ცოლი აგარაკიდან ვერ გადმოფრინდება და სხვა ვერავინ დაურღვევდა სანეტარო დროს ტარებას. საზოგადოდ, გიორგი მეტად შმაგი იყო საყვარულში.

მოსიმა კარების ძლიერი ბრახუნია. გიორგი კარებთან მივარდა, ერთ წაშს ჩაფიქრა, მაგრამ თავი გაიქნია და კარები გააღო.

კარებში მისი ცოლი ნინა იდგა. ცოლმა ხელი ჰკრა შიშისაგან პირდაღებულ გიორგის და ქორივით სოფოსკენ გადაფრინდა.

მანათი.

მ ი წ ე რ - მ ო წ ე რ ა

მარის წარიღი

რა მოგზორდი, ჩემო კარგო,
შავი ფაქრი გულს მიბურავს.
სევდისაგან ვერაფერს ვკამ,
ვერ ვსვამ ვერც ლულს და ვერც
ბურახს.

პირი როგორ გამიხმება,
როგორ ვიტყვი შენს სამდურავს,
ვან, თუ გშია, ან გწყურია,
ან გცივა და არა გზურავს.
ვან, თუ შენსა ცისფერ თვალებს
კავალერი ვშხით უმზერს.
და მე კი აქ უპატრონო
შენი ღარლით ვყლაპავ ბუზებს!
ვან, თუ შენსა ხუჭუჭ თმისა
ვიღაც კაცი ხელს უსვამდეს,
შენი ქმარი კი საწყალა
ღღედაღამე ცხელ წყალს სვამდეს.
ვან, თუ შენსა ქორფა მკლავებს
კავალრები ხელს უყრიდეს;
შენი ქმარი კი საწყალი
საქმებზე ცრემლებს ღვრიდეს.
ვან, თუ სასწლით ნაშოვნ ფულებს
ბორჯომ-პარკში თხრად ხარჯავ,

და მე კი აქ უფულობით
პაპიროსის ნაწვევებს ვჭახავ.
ვან, თუ ვიღაც უცხო ვეთან
ვრილ ჰაერზე ტკბილად გძინავს,
შენი ქმარი კი ტფილისში
ცხელ ფიცარზე სწუხს და გმინავს.
ვან, თუ ჩემს ჯამაგირებს
ღროს ტარებით გული ეწვის,
შენი ქმარი უბედური
ბილანჯოთა ხროვას ებრძვის.

ცოლის წარიღი

ჩემი ქმარი მისთვის მიყვარს,
რომ ქმარია, მეგობარია.
და მისთვის მსურს მისა ზილვა
მისთან ტკბილი საუბარია.
რა მოგზორდი, ქმარო, შემდეგ
გარედ ფეხი არ გამიღამს.
შენზე ვტირი დღედაღამე
და ვსვავლებ ჩემს მაგიდას.
როცა ვინმე მომხვევია,
წამსვე შენს კლავს გავიხსენებ;
მოზღვავებულ გონობებიდან
მისვე მკლავზე დავისვენებ.
როცა პარკში მარტო შევალ
შენთან ყოფნას გავიხსენებ;
ღარდისგან ფულებს იხარჯავ
სხვანაირად ვერ ვისიყრებ.
როცა ჩემს ხელს, თუ სხვა რამეს,
კავალერი ვნებით კოცნის,
წამსვე შენი მოგონება
სიყვარულის ისარს მტყორცნის.
და ამგვარად მიშწარდება;
საკურორტო შეგების უამი;
აქ ყოველი გულში მხვდება,
როგორც გველის მწარე შხამი.
და ამგვარად, რომ არ მოვკვდე
სევდამ გული რომ არ დახრას, —
გევედრები — მომაწოდო
გასართობათ მეტი თანხა.
და თუ აღარ მომაწოდებ, —
აღბად სევდა გამაგიჟებს,
გადავყვები საქეთოდ
ჩარლსტონიან კონტა ბაჭებს.
ცხვირგატენილი.

მასხალა თეატრისა

მოგახსენებთ, რომე კაი თუთხმეტი
წელწალი დაეარგაღეთ მე და თე-
რობიან, რაც გეარგინი ოსსიკენით
და არ ყოფილა ისეთი შემთხვევა —
ერთმანეთისათვის გვეწყებინებოთ;
ქე ვცხოვრობდით გუგულებივით; სადარ
დებელი არაფერი არ გვქონდა, გარდა
ერთისა. ეს ის რომ არ იქნა და შეილი
არ მოგვეცა. მაცადინობა იცოცხლეთ
ჩვენ არ დაგვეკლოს, მარა მინც არა-
ფერა გამოდიოდნ. არა და მარტო მე-
ზობლებს გვცხვენოდა. ზოგი პირდა-
პირ ყურში მაგონებდა. კაცი არ უვა-
ჩავო, ზოგი კიდევ თებრონიას აბრა-
ლებდა — უნაყოფო ქალიაო.

გარდა ამისა იგიც გვადარდებდა,
რომ ჩვენი მეზობლები ყოველ ში-
შეძენაზე კაი სამ თუთხანს იღებოინ
მთავრობდნ საჩუქარს; ისე კილო
ყოველ ივეში შვიდ მანეთს რძის
ფულს; კომბერატია ხომ კილო უფრო
გვიხეთქავდა გულს: ამ ახალ დაბადე-
ბულ ბავშს რას იტყვი რო არ აძლევ-
და.

მინც ამ მთავრობისთანა მთავრო-
ბა არ მინახავს სწორედ. ყველაფერი
უცნაური აგენმა უნდა გამოიგონონ.
იყო წინად ნიკოლოზის და მენ შევიკე-
ბის მთავრობები, მარა ბოვშის დაბა-
დების ფულს მოვცემდნ კი არა, თუ
გინდა შენი ბოვში წყალში გადაგე-
ლო, იმისთვის იგინი არ გავიჯავრდე-
ბოდნ. ამათ ხელში წყალში გადააგ-
ლო კი არა, უბრალო შეურაცყოფა
რო მიაყენო, ვაი შენი თაოლი.

რალა სიტყვა გავაგრძელო, მაისს
თავი კილო არ ჰქონდა ამოყოფილი,
რომ მოუწყეა წელი და გოუშვი დაჩა-
ზე. ისე ყველა ჩემ ნაცნობ უშვილო
ქალებს ასრულებიათ ნატვრა, რავარც
ჩვენ აგვისრულდა, ორი თვე არც კი
იქნებოდა გასული, რომ მივიღე წერი-
ლი, რომელშიდაც მწერდა:

— „გეხარე ჩემო სტრიფონ! აგვის-
რულდა დიდი ხნის ნატვრა. გუ-
შინ ექიმს გავასინჯივ თავი და ასე
მითხრა. ორსულად ხარო.
აბრუწუწუნ აწი ჩვენ მეზობლებს.
აბა გაბედონ და გვითხრან — არ
ვარგინართო.

იმისანა ვახარებული ვარ ჩემი თებ-
რონიასაგან, რომე ზამთრის საკაბე 5
მეტრა ბამბაზია დამზადებული მაქვს
მისთვის. ისე ბოვშის ტანსაცემლის
დახვედრებაც მინდოდა, მარა არ ვი-
ცი — გოგო იქნება თუ ბიჭი; ახლა
სული მიმდის სანამ ვნახავდე ჩემს
თებრონიას მუცელ გამობერილს. მა-
სახელა თავისი მაცადინობით, იმას
ენაცვალოს მისი სტრიფონი ყრონტ-
ში და გულბოყვში.

ყოჩად ჩემო თებრონია, რომ დოუ-
ფსე მტერს თვალები!

კარილე ხაფიჩხიელი.




ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (საიქიოდან): — აფუს! ბორჯომში
ჩემს სახალეში მუშები სცხოვრობენ!

მ უ ს რ უ ჯ ი მოდის რაღა!

„სილოსნ“ მხედველი
გეგმური თემა

ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სამართიე ლოს რევიზორ-ინსტრუქტორ კახდელაქს წაუყენეს ბრალდება, რომ ის არაერთარ რევიზორებს არ აწარმოებდა, როდესაც ის დააპირებდა წასვლას ხაზზე რევიზორის მოსახდენად, მას წინ გაუძღვებოდა დევეშა: „მოდივარ. მოემ სადეთ“.



მოდის,
მოდის,
მოდის,
მოდის,
კახდელაქს რევიზორი!..

გუგუნებენ სადგურები,
არ გეგონოთ თქვენ ეს ზორი.
მოდის რაღა!
ძმურად მოდის
გატყობინებთ
მოსვლას წინა.
პურმაროთი შენგდით გზაზე.
ნიკოლოზო, პავლე, ზინა.
თუ კი საქმი ცოდარ არის;
თუ „გაკლია“ გროში, ფული
თუ რამე გაქვს სალოროში
შე „ელო“,
ვატქნაფული,—
„ზრიკიციზმი“ მოიხმარე,
შეაბრუნე აფრა-საჭე,
და დავთარი, ანგარიში,
მიაკვაჭე-მიაკვაჭე.


უზახუტაქის მოგოლოგი

რკ. გზაზე მოლარე ჩივიდაქემ გაფლანგა საგრძნობი თანხა. იმის ნიკლოდ, რომ ბოროტმოქმედი მიეკათ პასუხის გიბაში, ფი გადაიყარეს უკეთეს ადგილზე; მოლარე კოპალოიშვილმა გაფლანგ ა ფული თოთში, რის შემდეგაც ისიც გადაიყარეს საბუშაოდ ჯულფაში და სხ

პროტექცია—ქმბიჭობის
ჭირიშე.
სახაზინო
ფულს ჩაფავლე
პირი მე.
აოაბი უქენ
სახაზინო თ—ლებსო;
ჯულფისაქენ
რკინის გზა მისტუმრებსო.
როგორ არ ვსცე
ქმბიჭობას თაყვანი,—
ათასამდე მომცეს გლანაყვანი.
თუ მომწყინდა,—
ვთქვი:
—ჯულფაში რა მიინდა?—



თუ მე კიდევ
საინოზა „მოშიინდა“—
ქველი ხერხით
მოვიგერებ გულხასო...
რას ჩავიდენ?
კვლავ გაფლანგავ კოოსხო!



შენდაზე

(სოფ. პატ. კუხნი, ხონის რაიონი)

სამკითხველოს აღმშენებელ კომისიას სხდომა ქონდა. მე უჩინრად შევიპარე დარბაზში და დავეძქე კუთხეში.

— ამხანაგებო, აქ ჩვენს გარდა არაფერ არის, ჩვენი საიდუმლოება არსად გავა. ამიტომ გულახდილად ვილაპარაკოთ ყოველივე! — განაცხადა თავმჯდომარემ.

კოწია: — ექვსი წელიწადი მალე შესრულდება, რაც ამ საქმეზე ვმუშაობთ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი არ არის ვაკეთებულო.

ლევან: — რა უნდა გავვეკეთებია, როცა სამკითხველოსთვის შეკრებილ ფულს ყლაბი უქენი!

სიმონ: — მართალია! კოწიამ შექმული ფულები უნდა ჩამოყაჭოს, თორემ ისე არაფერი გამოივა.

მაქსიმე: — თქვენგან ხეირი არ იქნება, მე მივიდივარ.

ლონგინოზ: — ასეა, ჩემო კოწია, ფული უნდა ჩამოყაჭო; ხომ იცი, როგორ გექონდა მამასისხლად ხალხში კაპიკობით შეკრებილი.

კოწია: — მე არ მიინდა თქვენთან მუშაობა. ამომშალეთ კომისიის სივდანი. (გაბარაზიბული გადის).

ბმები: — ფული? ფული?

კოწია: — ყინოლზე დასწერეთ, ყინულზე!

ჭ ი ა თ უ რ ა

აგერ მოდის სამი ქალი
კაბებ მოკლე, ფეხებ გრძელი,
მანეთს ეღებებიან:
ტრესტში მიგვაქვს სია გოძელი.
საპატიო ბილებებით
სულ საესე გვაქვს უბე, ხელი.
და თუ ვინმე არ აიღებს, —
დავაყენოთ დღე შეგბნელი.

არ სურდაო, რას ჩერჩებობ?
ხელი ჩემსკენ რად მოსწია?!

ახალგაზრდა ექიბი ვარ,
სახელად მქვია კოლია.
ლაშაზ ქალებს ვენაცვალე,
ფატთანა თუ ოლია.
მღვიმეშიაც ვადვიხედე.
კალისტრატ: ჩასულაო;
მავებლები გაუფანტავს,
ფერ-ყმელს წასელით
აგერ ხუდაღს დაგონი, რომ
გატენ-ლა საესელი,
თურქე კალეს გაუსინჯავს,—
მაწით არს საესელი.
ჩვენი ქუჩის ხარალია,
თუ რომ სწორად ასეაო.
სუქია მთლად დაიხურვი!
მერწმუნეთ, რომ ასეაო.

კახაფხულდა, ბურქის ძირას
თავს რომ იგდებს ნახი ია...
რეალური ხელფასისთვის!
კომპანია დაგვიწყია.
და რათ გიკვირს, ჩემო ვიყო,
„ვეჩერელი“ დაგვიწყია,
ვახშმად ღვინო აღვიკრძალავს,
კონიაკი დაგვიწყია.
თუ დავთვრებით, ვაი, თამროს,
ხელზე კბენა დაგვიწყია.

ახალგაზრდა“.

ნიგრში.

ჟურ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია და მისი თანამშრომ-
ლები აუწყებენ ამხანაგებს, ხელისმომწერლებს და მკითხ-
ველებს ჩვენი ნიჭიერახალბაზრდა მხატვრის

ახ. ვ. კ. სილკინის

ტრადიკულად დაღუპვას ქობულეთში ზღვაში ბანაობის
დროს.

აგარაკი სახლში

ახ. სილკინის





„სარსაროვ“-ში მოთავსებული მხატვარ სილოვინის ნახატები

- ჩინეთის საზღვარზე (მე-16-ე გვ. № 1).
- მლიქვნელი (მე-7-ე გვ. № 2).
- საყახბოში (მე-7-ე გვ. № 3)
- ცოლიც გაურბის (მე-3-ე გვ. № 9).
- ჩიხში (მე-3-ე გვ. № 10).
- სიტყვა და საქმე (მე-14 გ. № 10).
- თვითონაც არ სწამთ (მე-3-ე გვ. № 11).
- უმუშევრობასთან ბრძოლა (მე-7 გვ. № 11)
- დათვური სამსახური (მე-13-ე გვ. № 12).
- „შეჯიბრი“ მე-7-ე გვ. № 14).
- ეკლესიაში (მე-5-ე გვ. № 15).
- ოომის პაპის ზარბაზანი (მე-7-ე გვ. № 15).



- გასტროლებზე (მე-15-ე გვ. № 17).
- ნოქარი და გამგე (მე-14-ე გვ. № 18).
- მიზეზი (მე-11-ე გვ. № 22).
- ორი სხვადასხვა (მე-7-ე გვ. № 24).
- ტფ. ცენტრ. კლინიკაში (მე-6-ე გვ. № 18).
- სოც.-დემოკრატი (პირველი გვერდი № 27).
- ცერგიბელის ფრთების ქვეშ (მე-3-ე გვ. № 27).
- ოპორტუნისტი ექსპრესში პირველი გვ. № 28.
- ინდუსტრ. ტემპი (მე-8-9-ე გვ. № 28).
- პატაკი (მე-10-ე გვ. № 29).
- „ძალი შუეფს, ქარავანი მიღის“ (მე-16-ე გვ. № 29).
- ცეკვა თუ... (მე-2-3-ე გვ. № 30).
- თანამგზავრი (მე-4-ე გვ. № 30).
- საიქიოდან (მე-6-ე გვ. № 31).
- აგარაკზე (მე-9-ე გვ. № 31).
- აგარაკი ოჯახში (მე-8-ე გვ. № 32 და სხვა).

დასურული წერილი

ჭრა-კმრვის კურსების გამგე, ბიძგნი ლოკოტივიანიძეს



ბიჭლინთქა

სალამი გიორგი.

რასა შერები? ხომ კარგათ მიდის შენი ბნელი საქმეები?

საკვირველია, ბიჭო, როგორ გადაურჩი რევიზიას, ისე, რომ ვირების აბანოში არ ამოგაყოფინეს თავი.

საკვირველია, როგორ უხვევდი თვლებს მასწავლებლებს და ექვსი თუმნის ნაცვლად 20 მანეთს აძლევდი, დანარჩენებს კი ყლავს უშვებოდი. სკოლის შემოსავალსაც ხომ მაგრად გაჰკარი კბილები. ვახსოვს, რომ მეღრი-ჭებოდა—შენს მეტმა არავინ იცას ეს საქმე და არ გაამხილო.

შე ფული ქე გაათავე. იქიდანაც ქე მოგხსნეს. ერთი ბოთლი კვარა მინც მახსოვდეს შენგან.

ბიჭო, რაც იყო, იყო, ჯანდაბას შენი თავი, მარა ამაზე თუ უარი მითხარი, იცოდე მოგჯაყავ ხალხში. იმდენი ლურჯი სატინები რომ გაქაფე შეკვეთებიდან და სახლში წაიღე. ერთი სახალათე მინც მომეცი, თვარა შენა ცოლს ყველაფერს ვეტყვი, რომ აფერისტულად ნაშოვნა ფული ქალებს შეაჭამე.

ასე. ბიძი, ერთი სახალათე ჩამოდევი, თორემ ესაა ავლანპარაკდი რადიოსადით.

შენი შანხაი.

გ...არგის უაყვედურებთ სხვისი სატინის „გაქაფვა“, ააფე დროს თქვენ მისგა ქრთამს მოითხოვთ საიდუმლოების შენახვისათვის. ჩვენი ჩანგალი, ამ შემთხვევაში, თქვენთვისაც საჭიროა და ჩვენ ამას არც დავიზარებთ.

ტარტაროში.



როგორ სადილავს ტვილისელი მოკალაქე

დეკემბერი

გავდარი წიგნი

ს.ო.შ. ტაბახმელა. მუშაობა საქონლის ჭირის სა-
ხონადმდეგო შრატის დამაძნალებელ სადგურში არ
დაიძრა ეგრედწოდებულ მკვდარ წირტილიდან, ვინაიდან
გაშეები ყველ ახალ მთვარეზე იცვლებიან.

გვინი.

უსასჯელო სასჯელი

ო.შ.შ.რ.ბ.მ.ი. სახალხო სასამართლომ ლადო სა-
კრთილაძეს საკრედიტო ამხანაგობის 1.500 მანკონის
გაფლანგვისათვის კარგა ხანია დაპატიმრება მიუსაჯა,
მაგრამ ლადო ეხლაც არხეინად სერიოზობს; ასე, რომ თუ
ს აჯელი გად წყვეტილებს დღიდან ჩაეთვალა, უქვე
ნობღალი ექნება კანონის ძალით.

მშვიდობიანი დღე

სენაპი. ბოგირზე, სასამართლოს ახლოს, გუშინ
დაძტვრა ნხოლოდ ოთხი ატო, 12 ჟრემი და 17 მოქალა
ფენი პოიტყხა. ინჟენერთა გამოკვლევით ბოგირის შეკე-
თება შეუძლებელია, თუ ორი ურემი ხრეში არ მოაყარეს
ფერია.

ახალი გამგეობა

ბ.მ.მ.ი (ქუთ. ოლქი). ალიოშა ცინცაძემ გამოიგონა
ლაპარაკის ისეთი აპარატი, რომლითაც ტყუილი სიმართ-
ლედ სალდება.

გარდა ამისა ხუცეს მამის მადლით მოჯამაგირეს ამუ-
შავებს ხელშეკრულების გარეშე, ვინაიდან მას ოფიცია-
ლურად არა აქვს მოჯამაგირის აყენის უფლება.

მებრძოლი.

ეზობრული ჯიბრი

ა.ა.ბ.ო.ს.ა.ი. ვანო ავაჭოვმა და გიორგი ბარანა-
შვილმა ერთმანეთში გამოაცხადეს ჯიბრი მეტ ღვინას
სმაში. ჯერ-ჯერობით ორივე თანაბრად არიან და იძინე-
ბენ კლუბში. ამას გამო კინო-სურათების ჩვენება გადა-
დებულთა ჯიბრის დასრულებამდე, რადგან არცერთ მათ-
განს არ სცალია ამ საქმისათვის.

კულაშელი.

„გოჭოურას რადიო“

მ.შ.თ.ა.ი.ს.ი. მელიკო ლეკვეიშვილმა გოგოურას ნი.ა-
ზე თავის ეზოში მოაწყო მსოფლიოში უძლიერესი რა-
დიო-ჭორის სადგური, რომელიც დღე და ღამეში ავრცე-
ლებს 2.000 ჭორს, 1000 ფუთ საცრუეს, 10.000 ტონა
სიყალბეს, მოწყობილი აქვს კატის ფოსტები სხვა კუთხი
ებთან კავშირის დასაჭერად.

კოვზი ნაცარში


ს.ა.ლ.ა.შ.ი. სიმონ მეიშვილი თავს დაესხა ნოჯამაგი-
რე ქალს, რომელმაც მოაგერია სიმონის იერიში.

ცხრათვალა.

სახელის გამოცვლა

ახალციხე. რაიკავშირის გამგეობამ გამგეობის
თავჯდომარის ივანოძის წინადადებით დაადგინა: „ვი-
ნაოდან ჩიშოში უმთავრესად მოკალათებული არიან
ყოფილი ვაჭრები, ამიტომ მას (რაიკავშირს) ეწოდოს
„ყოფ. ვაჭართა თავმესაფარი“. აბრას ამ დღეებში გამო-
ცვლიან.

ისარი.



ჩვენი თანამშრომელი „ნიანგი“ საგარაკოთ
ქოზულეთში.



— ყველა ჩვენები გასწერეს გაზეთში და შენ გიხა-
რია?

— რატომ არ უნდა მიხაროდეს! მე მეგონა, მეფის
ერთგული ხალხი სულ ცოტა-და თუ იყო დარჩენილი...
თურმე, ხედავ რამდენი უფილია რკინის გზაზე მოკლა-
თებულები?!

გამოვიდა და ყველგან იყიდება
ნიანგის
„კუზნიანთა პოლიტიკა“
„ყუმბარას“
„წითელი ბოლოკი“

კოლექტივი ბრჭყალებში

წერილის სათაური თითქოს ორანზროვანია.
პირველი — კოლექტივი ბრჭყალებში, ანუ ასე-
„კოლექტივი“ (სიტყვა კოლექტივი ჩასმულია ბრჭყა-
ლებში).

მეორე — კოლექტივი ბრჭყალებში, ესე აგი კოლექ-
ტივი ვილაცას ბრჭყალებში (ანუ კლანჭებში).

ამ ჩვენს შემთხვევაში სულერთია წერილის სათა-
ურს რომელ აზრითაც გავიგებთ, ორივე შესაფერისა
და ნდგომარეობის დამახასიათებელი იქნება.

როდესაც გომში (სამტრედიის რაიონი) გლეხობა
აღტაცებით ხვდებოდა კოლექტივიზაციის გამოცხადებას,
ზოგიერთებს ყურები ჩამოაჭყროდათ, ცხვირებაძირს ჩა-
მოეშვათ და სასოწარკვეთლებას მისცემოდნენ.

— ჩვენი წარსულის მქონეს, ვინ მიგვიღებს კო-
ლექტივიში!? — ამბობდნენ ასინი.

გამოსავალი თითქოს არსაიდან იყო.
— ნუ გეშინიათ, ბიჭო! — გაისმა უცხად ლავრენ-
ტის ხმა.

ყველამ მას შეხედა. ლავრენტამ კი დაიწყო:
— მართალია, კოლექტივის წინააღმდეგ ვართ
ჩვენ, მაგრამ რა გეწყობა. საბჭოთა ხელისუფლების
დამყარების წინააღმდეგ კი ვიყავათ, მაგრამ ვერა-
ფერს გავხდით... ჰო-და, იმას ვამბობდი ამხანაგებო,
რომ, ავღვეთ და თვითონ ჩვენ დავაარსოთ კოლექტივი.
როდესაც ანიციატივის ჩვენ ავიღებთ ხელში, შენდვ
პატროსანი ხალხიც შემოგვიერთდება თითო-ოროლა და
ამგვარად, კოლექტივის თავს შევფარებთ!

— ძველია, ძველი; იცის ხერხი! — წამოეძახა აღტა-
ცებთ ი. ნიკოლეიშვილმა.

1915-16-17 წლებში სპეკულანტობ-კონტრბან-
დისტობდა და რატომაც არ იქნება „გამოსუქინისინე-
ბული“! — დაუმბატა ს. ზაქრაძემ.

— შეუდგეშიაც არ ყოფილა ცუდი ბიჭი: 1918-19-20
წლებში იყო მენშევიკების „სტრაჟნიკად“, ბევრს ახლაც
აჩნია მისი ნათრახის ასლი! — შეაქო გ. თევზაძემ.

— ნღვრაა წყალში თევზის დაჭერა შენაც ძალიან
გიყვარდა და გენერხებოდა მენშევიკების დროს და,
მგონი, არც ეხლა აკლებ ხელს! — უთხრა თევზაძეს გ.
სულაქველძემ.

— ამხანაგებო, აქ ყველა ერთმანეთზე უკეთესი ბი-
ჭები ვართ. თუ გ. სულაქველძემ შევხებო იყო, ორც მე
ვყოფილვარ მასზე უარესი ბიჭი. თუ თავისთვის ქებაზე
წავიდა საქმე, სად არის ჩემი 18 წლის „სტრაჟნიკობის“
სტაჟი? — გაცხარდა თ. ნიშნიანძემ.

— ნუ ცხარობთ, ამხანაგებო, — დაიწყო ისევ ლავ-
რენტი, — აკი ვსთქვი, რომ ჩვენ ყველა კაი ბიჭები
ვართ. დავაარსოთ „კოლექტივი“, მორჩა და გათავდა,
თავმჯდომარეობას მე გავსწევ...

დაარსდა „კოლექტივი“;
სხვებიც ჩაეწერნენ შიგ.

კოლექტივის აქტიურმა წევრებმა ხმა ამოიღეს ასეთ
ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

— როგორ? თქვენ „სხვის მონასტერში თავისი ქუ-
დით შედიხართ!“ — გაცხარდა კოლექტივის თავმჯდო-
მარე ლავრენტი. — არაუთარი თვითკრიტიკა! — დაუ-
მატა მან და კოლექტივის წევრთა შორის ხაზი გაუსვა
გ. ნადირაძეს და შ. ნიშნიანძეს.

— ასე ეკადრებათ... ყოჩაღ ლავრენტი! — ჩაილაპა-
რაკეს ლავრენტას ამქრებმა და სხვების დასაშინებლად
ხნამაღლა დაუმბატეს: — ასე მოელის ყველას, ვინც კო-
ლექტივისათვის ძირის გამოთხრას მოინდომებს!

კარგი იქნებოდა, რომ ეს მათი სატყუები მათზე
ასრულდებოდა.



ხიზვის-კვირით

რაუდენი ძველი ჩარჩია მემართამეოზა არჩია.

„ნატახტარის ახალ წყალსადენის სამუშეოებზე უფროს მუშად მოტივაცილია ყოფილი ეპქარი რაუდენ იორამაშვილი, რომელიც თავის ხელქვეით მუშებისაგან დებულობს ჭითამებს—ნატურით, ახდენენ მათ „მაღარიებს“ და ახარჯენენ ადებულ ხელფასს.“

მცოდნე.



სადაც შენდება ნატახტარი, იქ უფროს მუშად არის „გადაშტარი“ ძველი ჩარჩი რაუდენი, რომელსაც ბევრი ოინი აქვს თავს გადამხდარი. მაგრამ ოინებს ესლა თვითონ აწუბს, მუშებს რომ სამუშაოზე აწუბს, მათ ხარჯზე ქეიფებს აცხობს და სცანცლავს მათ ნაოფლოარ ფარას, ჰქრეკს მუშებს, როგორც ცხვრის ფარას. თუ ვინმემ გამოიჩინა სითამამე და რაუდენს არ მისცა ჭითამი, მაშინ საქმე ისე მოქაზრდება, რომ ის მუშა სამუშაოს გამოაკლდება და მშვიერი ჩაკვდება. ამიტომ რაუდენის გზა მუდამ ხსნილია, მორთმევა კვარტი, ვარია თუ წიწილია და ისიც, როგორც „საწყალი კაცი“ ამ „მცირე-შეც“ კმაყოფილია.

მაგრამ საკითხავია, ეს ჩარჩი რაუდენი, ხანია რამდენი, რაც მობრძანდა სათარეშოდ და ჰქრებს ყველასგან საფარეშოს?—სად არის მუშეობი და ადმინისტრაცია, რომ კბილი გაუშინჯონ თუ რა კაცია და კინწის კვრით იფრინონ ნატახტარიდან ისე, რომ გზაში მღეროდეს „დარიდან“-ს?..

მსხილაძის ვაში ილია ყვლეუაში გამოსენილია

„სად, საჯევანოს რე. გზის ლიანდაგის მე-მ საოსტატოს მერტრეე ილია მსხილაძე უხეშად არღვევს შრომის კანონებს, საათის ციოომდა „უტონლობის“ მიზნით მუშებს ზედმეტს ამუშავებს უხელფასოდ, ატყუებს მათ ანგარიშში და ემუქრება მათ დათბოენით.“

თუ მსხილაძე უდიერია, აქ გასაკვირი არაფერია, რადგან რკინის გზაზე ჯერ კიდევ ბევრსა აქვს საფარი, რომელიც „უამსა მას“ ღუო ჩაფარი, ან ნაცვალის ჰქონდა ფაფარი და დღეს, როდესაც მუშათა „უფროსად“ გახდა მთლად გაიხრწნა და წახდა, ე.ი. გაახსენდა ძველი დროება, როცა მის ხელთ ღუო საწუთროება და ჰყვლენფდა სხვის შრომას, ახერხებდა მათ ზურგზე ჯდომას და ძლომას, ასეთია მსხილაძე ილია, მან კიდევ ვერ გამოილია ეს ძველი „რჯულთბი“ და რომ მუშებს დასცინცილოს ფულები მიმართავს ნაცად ადათებს, ჰპარავს მათ კვირებს და შაბათებს, ან დღიურ ზედმეტ საათებს. ვეკიბოთ — ხად მრდს იგი ფარები, რაც

ილიას მუშებისგან აქვს მონაპარები? რა თქმა უნდა, მის ჯიბესა შინა, რომ წაიღოს შემდეგ შინა და სტომაქში მისცეს ბინა. მაგრამ აწ კმარა მისი თარეში „საჯევანოს მხარეში“ თავს წავადგეთ როგორც ფარეში და ჩანგლის წვერზე ავაგოთ ვით მძორი და ლეში.

ძველო ვაჭარო ანანოვ, რატომ ხსურს ბედი გვანანო?

„სად, გარდაბანში „ზაკტოს“ № 76 ფარდულის გამეფ, ძველი ეპქარი ანანოვი ატყუებს მუშებს, უხეშად ეპქრობა მომხმარებლებს და კრძო ეპქრებზე ჰყიდის მუშებისათვის კუთვნილ დეფიციტარ საქონელს.“

გარდაბნელი.



ესეც „ყოფილი ფრინველია“, ნაკაცარია, ძველია, ეპქრობაში ჰიბი აქვს მოჭრილი და თუ დღეს გარდაბანშია გადმოჭრილი, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს—თითქოს მასზედ რამ „ცუდი უნდა ითქოს“. რა ვუყოთ თუ მუშებს უხეშად ეპქრობა და თავის ჰამქარ ჩარჩებს ემხრობა? რა ვუყოთ, რომ მუშებს უშალოავს საქონელს და მას აწვდის სექკულიანტებს (ტფილისის და არა ხონელს), რა ვუყოთ, რომ კოლპერაცია მას ისე ესმის, რომ უნდა გაართვას გნაცვია. ერთის სიტყვით, რა ვუყოთ, რომ ანანოვი ისეთი კაცია, რომელსაც უყვარს მრავალი კომბინაცია და რომელსაც ადგილი უნდა ჰქონდეს არა იქ, სადაც კოლპერაცია, არამედ იქ, სადაც წის მრავალი მავენ... ესლა კი, რახან გავამუდავენ ანანოვის საქმენი საგმირონი, უკვე დადგენ დრონი, რომ ნიჩაბს წაუსვათ ქონი და ანანოვი ვისროლოთ ისე, რომ ვერ ნახოს ფონი.

ქალატი ვაცხოვნე „სპეცია“ რომელი ჯივის მემცია?

„სად, გურჯაანს ტფილისის საო მასალო საწყობიდან ვილოც „ბიბუას“ წყალობით გაუგზავნეს ვინმე სანდლერი, როგორც სტეკ ნავოსაქარში მემქანის თანადეობაზე სამუშაოდ. გამოიკვტა რომ სანდლერს მემქანეობის სრულებით არაფერი გაეცება.“

დაუნდობელია.



„ამბავი ესე“ თარსული არ რთულად ნავაზირევი, გურჯაანს მოხდა, ვავივე და გაოცებით ვირევი.



ერთ დღეს მოფრინდა ტფილისის სანდლერი როგორც „სპეცია“, პორთფელს ჩაეღო ბარათი— „შუაზე“ განაკეცია, სთქვა: ეს „ბაბუას მოკითხვა“ მე კრძალოვით გადმოგეცია. შეე და სპეცია შორს ვაროთ, ვით ორი შორი პლანეტა,— სამავიეროდ მიცნობენ ნინა, კატა და ანეტა, ამიტომ ნულარ უყავნებთ დამნიშნეთ მემქანეთ...“ იგი დახაც „დაიშნს“ არ ჩაიღინეს ბეცობა, — თქმულა „თუ გული გულობდეს“ ძნელი არ არს სპეცია,— მაგრამ ეს ემცნო ტარტაროვს, შეიტყო მათი მხეცობა— და სანდლოარ მისი „ბაბუით“ ჩანგალზე წამოეცობა.



— ჰოე, ხუსვინა, სახელი ჩვენია, სახრავი კი ყოფილ ეპქრების.



საიდუმლო ანკეტა



„პოხმელია“-ს შემდეგ კირილე წიგნივამეძე კარგ ხასიათზე იყო.

— ქუთაისში, რომ ბურთი და მოედანი ჩემია, ნუ თუ მართლაც ასეთი კაი ბიჭი ვარ?! მოდი ერთი და, ანკეტას გულახდილად შევაფხვებ.— გაიფიქრა ლემე.

და ანკეტა ასე გამოვიდა.
— ვინაობა?
— კირილე ერისთავის ძე წიგნივამეძე.
— რა კაცი იყავ თვითმპყრობელობის დროს?

— მესახურობდი ვანისში რად ნიკოლოზის მოხალისეთა ჯარში.

— დროებითი მთავრობის დროს?

— „ლიკაია დივიზიაში“ ოფიცრად

— მენშევიკების დროს?

— გვარდიის ოფიცერი ვახლდი.

— გასაბჭოების შემდეგ?

— გზელმძღვანელობდი რაზმს, რომელიმე აც ვსურდი „მკვდარ სულგბს“ და მათ „პარიოკს“ მე ვღებულობდი. ამის გამო მდგომარეობა შემერყა და ვამჯობინე ტფილისში მოწყობა.

— რამდენხანს დარჩით ტფილისში?

— ცოტა ხანს, რადგან ჩემი ხრიკები და ოინიბი იქ ვერაფერში გამოვიყენე.

— 1924 წელს „აჯანყების“ დროს რას აკეთებდით?

— ნაწლავარ-გარდ ვავაპარე ჩემი ძმა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა.

— სად მუშაობდით შემდეგ?

— რკ. გზ. მცველთა რაზმის უფროსად.

— მაშინდელი თქვენი მოღვაწეობა?

— ათ-ათი მანეთი დავსტყუე თანამშრომლებს სსახდლოს მოწყობისათვის და სსახდლო ორგანიზაციის ნათესავ ბლათურას.

— რატომ ვადადი თქვან მილიციაში?

— იმიტომ, რომ პანლური მკრეს.

— შილაქიაში?

— იქაც პანლური მკრეს, რადგან დავიწყე ჩემი ოინიბი.

ერთ დღეს გამომიცხადეს, რომ გამსახლში იგზავნებო. თმა ყალყზე დამიდგა. ვიფიქრე:— ეს არის დავსვა ჯვარი ჩემს „მოღვაწეობას“ და თავი ციხეში მატუციყს— მეთქი. რას ვიზამ, ბოლოს და ბოლოს ხომ მაინც იქ უნდა მოვხდე! დეე, ესლა იყოს!— ვფიქრობდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ მაპატიმრებდენ ყველა ძველ ცოდვებისათვის.

თუკე საქმე არ გაქვს?! გამსახლში უფრო! ვ გამგზავნენს.

— თქვენი შეხედულება გამსახლში თქვენს მუშაობაზე?

— საუცხოო. შოდოდა და შოდოდა ძღვენი. მემამულეები ბევრი მყავდა დატუსაღებული და გიყვარდეს ფეშქეშები.

— რას იტყვით ბანდიტების გაქცევის შესახებ?

— ოთხი ბანდიტი ვახვებ ვავატანე ერთ ზღნამხედველს. მოსახვევში ვაარტყეს ყბაში და ვაიქცენ, თავს უშველეს. შემდეგ ერთი კიდევ მე ვავარტყი ზღნამხედველს— რატომ ვავატანე ერთ კაცს ოთხი ბანდიტი-მეთქი და ამით ვათავდა საქმე.

— თქვენი დამოკიდებულება ადგილკომთან და თანამშრომლებთან?

— რა მაქვს მათთან მე საერთო? მათი დედის შვილია და რომელიმე ჩამე გამიბედოს.

— ტუსალებთან?

— ტუსალებთან ცული, მაგრამ საშავიეროთ, მათ ცოლებთან— კარგი.

— როგორ უტყერი კელის ვაზუს?

— რას ვუტყერი, როცა ჩამოვხეი კელდიდან, რადგან შიგ ჩემი ქება არ იყო (თუმცა-ლა არც ვინება იყო, მაგრამ ვინებას ვინ ვაბედავდა).

— თქვენი ფინანსური მდგომარეობა?

— რა უქირს, კარგია ფული პროცენტებში მაქვს ვასესხებული.

— რა აშხავი გქონდათ სოფელში წისქვილის შესახებ?

— დავისახელეთ რომელიმე მაგალითი?

— გორგი ცირეკიძე მოვაწყვე ქუთაისის ბალ-ბოსტანში“, სადაც მეც უნდა ვადავსულიყ ვამვედ. (ის წინასწარ მივაფლენე).

— მისი სვეტობა?

— დახელოვნებული კომბინატორი.

— სად მსახურობთ ესლა?

— ა.კ. ბალ-ბოსტანის ქუთაისის ვან-ყოფილების ვამვეთ ვახლავარ.

— როგორ ვადისარ ყოველ საქმეში ფონს?

— პურმარილით.

— რა სიმღერა იცით?

— სიმღერა ბევრი ვიცი, მაგრამ ჩემი საყვარელი სიმღერაა:

წიგნივამეძე ვარ. კირილე,

„პოლიტგრაფია“ არ ვიცი...


ხულ მუქთად ხელში ჩავივდე

გამსახლის ცხენი და კვიცი.

—

კირილემ შეავსო ეს ანკეტა და ვადაიკით თხა.

კითხვის დროს მის სახეს ღიმილი არ მოშორებია.



— მდინარე, რომელიც წისქვილს ამუშავებს, ვადის ჩემი ცოლის მამულში. გლენებმა ცოლი წისქვილის ნაწილში არ შეიყვანეს. მაგრამ როცა დავიბარე და დავემუქრე, რას იზამდენ, ვაუნაწილს.

— თქვენი ბინის მორთულობა?

— ძველი თვადლური. ყოველნაირი იარაღი ამშვიდებს კედელს.

— თქვენი ქველმოქმედება?

— ვესმარები და ვაწყობ სამსახურში მოყვრებს, ნათესავებს და ძმა-ბიჭებს.

— მართლაც კაი ბიჭი ვყოფილვარ, თორემ ვანა ამას ვინ შესძლებდა!— კმაყოფილებით ჩალაპარაკე კირილემ და ის იყო ანკეტა უხდა დავხია, რომ ქალაღი ხელიდან ვაუფრინდა. ტარტაროზის უჩინარმა ხელმა ანკეტა ვამოსტაცა.

კიილეს შეუწლია ეს მისი საიდუმლო ანკეტა „ტარტაროზი“-დან ვადასწეროს და ვადასწერილი დახიოს. სხვა საშუალება არ არსებობს საიდუმლო ანკეტის მოსაპოვებად.



— რა? ჩვენს შალაზის დაეცენ გათენებნას?

— ნუ თუ მსუბუქი კავალერიაა? ა? რა?

— მუშკორთა ბრი...ბრი... ბრიგადა? არა? აბა?!

— შე კაი კაცო, ასე იტყობი თავიდან, რომ დაეცენ და ფული ვაიტაცეს-თქო. კინაღამ გული გამიჩეთქე შიშისაგან. შადლობა ღმერთს შვიდობა ყოფილა!



— გამოვადეს, როგორც ყოფილი.. და მერე ვინ?!. თვითონ ყოფილებმა.. ჩემმა ყოფილმა მოჯამავირებმა!



— აბა, დავსცხობ, თორემ თორმეტი საათის შემდეგ „ბავშვთა ცვირა“ იწყება და ვალახვის ნება აღარ გვექნება!

შეჯიბრი გაფლანგვაში (ტყიბული)

სილია: — გამარჯობა ნიკოფორე, რაშობი? როგორ ხომ? ხომ არ შეშინდა, კაცო?

ნიკოფორე: — არა, ჩემო სილოვან, მაგრამ იმას ვდარდობ, რომ ესლა გამსახლში ყოფნა — ზიკვედილია.

სილია: — გამსახლში ყოფნა არაფერი, მაგრამ, რომ გაწყერეს ღმერთი და ქონება აგვიწერონ ვაფლანგულ თანხის დასაფარავად, რაღა გვეშველება?!

ნიკოფორე: — რამ გადაგრა, ბიჭო! მე რაც ჰასუბსებაში ვარ მიცემული, მას შემდეგ აგერ ექვსი თვე გადის და არაფერს არაფერი არ უქნია. ჩამაგდებენ გამსახლში და, ერთი თვის შემდეგ ქე გამონიშობენ.

სილია: — მაშ, მე ერთი თვის შემდეგ გამოვალ გასახლიდან?!

ნიკოფორე: — შენ რა გაქვს ბრალდება?

სილია: — მე დამინტვიცდა, რომ 5 წლის განმავლობაში კოოპერატივის საქონელს ვყიდდი ვაჭრებზე და ვაშრეგეს შავ ოჯახ დასაქცივებში.

ნიკოფორე: — სწორეთ ასეთი იყო ჩემი ბრალდებაც, მაგრამ შე საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვა დამინტვიცეს.

სილია: — მე იმას ვდარდობ, რომ მეორე სახლის წამოწყება მინდოდა, კაცო, და ხელი შეემშალა.

ნიკოფორე: — დაახნებე თავი, კაცო, მეორეს, ეს სახლები შეგვჭრის, რომლებიც შეგვჭრა და მეორე რათ მინდა. მე უკვე გაქირავებული მაქვს და იმაზე მეტს შემოსავალს მაძლევენ, რასაც ჩემი ჯამაგირი უდრიდა.

სილია: — ჰაჰმელი როგორია გამსახლში?

ნიკოფორე: — ცუდია გამფლანგველებთანათვის.

სილია: — მე ასე ვიტყვი — პოლიტიკური პარტიმარი ვარ-თქვა.

ნიკოფორე: — ბიჭო, შენ გასულწლებულხარ კიდევ, შენი ბრალდებები შენვე გამოგყვება ზურგზე დაკრული გამსახლში.

სილია: — მერე-და რა ზურმარისს ვაყავი, კაცო, შერვეული!

ნიკოფორე: — არაუშეშს, ხომ იცი იმერული ძველი სიმღერა: „აუჩეღა საჩეღა, რასაც შესუამ ის შუგრება“. შეგვჭრა ის, რაც ვსტამეთ.

სილია: — არა შინც მის შემდეგ შე და შენ ვეღარ გაფხარეთ, რაც მუშა გიორგი ძოწენიძე გამგობის თავმჯდომარეთ დანაშნა.

ნიკოფორე: — შეიცა, კაცო, ჩვენი ძმები იმასაც მალე ჩააგდებენ, რადგან მათ ძალზე დაენდო ის საწყალი.

სილია: — მე განსაკუთრებით იმას ვდარდობ, რომ ჩემი ცოლი ახალ დაკლულ ძროხის ხორცის მწვადებს იყო მიჩვეული და ესლა კი შემოაგლდება.

ნიკოფორე: — რა შემოაკლებს, კაცო? ვაჭრები, რომლებსაც შენ უწყობდი ხელს, ყველანი მოეხმარებიან და ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ.

სილია: — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ორში „სოცმეჯიბრში“ ერთმანეთს რომელმა ვაჯობეთ?!

— მე ვაჯობე!

— არა, მე ვაჯობე!

ჩვენ კი გგონია, რომ ამას პროკურორა და სასამართლო გამოარკვევს.

გოღოტი

ში-პოს*. გვეჩუთ, რომ ცოლი ბახმაროზე გავგზავ-
 ნე საგარეოთ და ერთხელ როცა ვესტუმრე:
 ხმა არ გამცა. ცოლი თურმე უინაზე
 იწვებოდა ტრფობის ცეცხლის აღშია.
 ვერ ვნახე და გავემგზავრე ბინაზე,
 ელნათური ჩამქრალიყო სახლშია.


აშკარად სჩანს, რომ თქვენს ცოლს ცილს სწამებთ:
 როდის იყო ბახმაროში ელექტრო-განათება? სჩანს ჯერ
 თქვენ არც კი გინახავთ ბახმარო.

მამარს (სოფ. დიმი). კიდევ იოლად დამთავრებუ-
 ლა საქმე, თუ—„სამი სიცოცხლის“ გასამართლების დროს
 ერთმანეთს ცხვირპირი დაუმტვრიეს დამცველმა, ბრალ-
 მდებელმა და მოხამართლემ. ბრძოლის ველზე დარჩა
 გატეხილი სამი თავი და ერთი საწყეღ დოქიო.

დოქის გატეხა კი არის საწყენი; თავების — რა მო-
 გახსენოთ.



ორიანს (ქუთაისი). გვატყობინებთ, რომ „მიშა სი-
 დავამ გახსნა კურსები, სადაც ისწავლება: თავისივე მო-
 წაფე ქალებში არშიუობა, ხულიგნობისათვის მილიციის
 საკანში ჯდომა, გინება (მრავალ ენებზე), კონტრაბან-
 დისტოა მფარველობა და სხვ.

უძლური ღვთისმშობელი სილნაში მოედანზე



— ღვთისმშობლის მადლმა, ან ცალი ქათმები ყველა
 ცხრა აბაზად გავვიდვ.

— კი შენ დავემართება, კი მადლი იმას-ლა ჰქონ-
 დეს, — ღვთისმშობლის ეკლესიაში კოლექტივს ძნებო
 უღვას.



სამონს (სამტრედია). თქვენი „წერილი სატრფო-
 სადში“ გოდორმა გადაგზავნეთ, რადგან თქვენი სატ-
 რფოს მისამართს არ გვატყობინებდით, რომ მისთვის გა-
 დაგვეგზავნა.

რატომ მისამართს არ ვატყობინებთ, რომ განომიე-
 ბელმა ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ.

სუფსელს (სუფსა). „ტარტაროში“ ვიგზავნათ
 რამდენიმე ცოცხს თანახმად თქვენი მოთხოვნისა „ინ-
 ვალდოთ“ წითელ სასადილოს გასახვეტად.

პრჩილს (აქვი). თქვენ ლექსში ერთი ასეთი ადგილია:
 მივდიოდი ქუჩაში...
 ეს რა საკითხავია.
 ამდენ აურ-ზაურში
 დამეკარგა თავია.

რაკი ქუდი არ გხურებიან თავზე, ზარალი უნნიშე-
 ნელთა.

ონხარს (ხევი, ოზურგ. მაზრა). ჩვენ ვგგონია საკ-
 მარისთა აღმასკომას დადგენილება:

„ვინაიდან სამკითხველოში ანდრია გაზეთებს მაინც
 არ აყენებს და სასადილოში მიაქვს ხელის საწმენდათ,
 ამიტომ სამკითხველო გადაკეთდეს თავშესაფარად, სა-
 დაც დღისით ადგილობრივი „მმა-ბიჭები“ იქეიფებუნ,
 ხოლო სალამოობით უპატრონო თხები გაითევენ ღამეს“.

გადაწყვეტილებაზე უფრო სამარცხვინო იქნება, თუ
 გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს.

რაც შეეხება იმას, რომ სერგო მანლაძე თავის
 გვარს აშართლებს — მიწაყინწასავით დადის და სა-
 ლამის მიცემას არ კადრულობსო, — ეს არ არის ისეთი
 დიდი ცოდვა, რომ ის „ტარტაროში“—მი მოვათავსოთ... მა-
 გრამ, აი, — მას რომ კედლის გაზეთი ჩამოუხვევია; ამ
 შემთხვევაში მას ვერც მამლისებური ანპარტაუნობა უშ-
 ველის და ვერც ინდაურისებური გაბერვა.



— ვაი, რა უბედურება დაგვატყდა თავს, სოფელში გამგზავნეს სამუშაოდ.